2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა განახორციელა საგადასახადო კოდექსში ცვლილებები და მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ. აღნიშნული ცვლილება ცნობილია როგორც მოგების გადასახადის ესტონური მოდელი. კანონში ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება ყველა იურიდიული პირზე, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა (კომერციული ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომპარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან. ამ მოდელის მიხედვით მოხდა დაბეგვრის მომენტის გადატანა მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე და, შესაბამისად, ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება (აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგება). ამ მოდელის მიხედვით, გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრა ხდება 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრა 15%-იანი მოგების გადასახადით.

4.8 არაფინანსური აქტივების გაუფასურება

არაფინანსური აქტივები, რომლებიც კომპანიის შემთხვევაში წარმოადგენს ძირითად საშუალებებსა და გასაყიდად გამიზნულ გრძელვადიან აქტივებს, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის გადაფასდება გაუფასურების ნებისმიერი ნიშნის არსებობისას.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მაშინ, როცა აქტივის ან მისი ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორი ღირებულებიდან უფრო დიდი: აქტივის გამოყენების ღირებულება და მისი სამართლიანი ღირებულება რეალიზაციის ხარჯების გამოკლებით. გამოყენების ღირებულების შეფასებისას სამომავლო საანგარიშო ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებამდე, დაბეგვრამდე არსებული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. იმ აქტივთან დაკავშირებით, რომელსაც არ შემოაქვს ფულადი ნაკადები, ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ფულადი ნაკადების წარმომქმნელი იმ ერთეულისათვის, რომელსაც აღნიშნული აქტივი მიეკუთვნება.

არაფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული გაუფასურების ყველა ზარალი აისახება მოგებაში ან ზარალში და კორექტირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრისას გამოყენებულ მონაცემებში მოხდა ცვლილება. კორექტირებული გაუფასურების ზარალი კორექტირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, რომ აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ გადააჭარბოს მის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთისა თუ ამორტიზაციის გამოქვეითვით, თუ არ მოხდებოდა გაუფასურების ზარალის აღიარება.

4.9 სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით და შემდგომში გამოითვლება ამორტიზებული ღირებულებით.

4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

4.10 საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებაში. კომპანიის წესდებაში ცვლილება (ცვლილება საწესდებო კაპიტალში, საკუთრებაში, ა.შ.) ხდება კომპანიის პარტნიორთა გადაწყვეტილებით. კაპიტალი აღიარდება, როგორც კომპანიის საწესდებო კაპიტალი იმდენად, რამდენადაც ეს რეალურად პარტნიორთა შენატანია.

4.11 საპროცენტო შემოსავლის და ხარჯის აღიარება

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აისახება ყველა სავალ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეს მეთოდი, ეფექტური საპროცენტო განაკვეთისგან გარიგებისთვის, ითვალისწინებს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა სახის გადასახდელს, მათ შორის ტრანზაქციის დანახარჯებს, ფასნამატებსა და ფასდაკლებებს, რომლებიც წარმოადგენენ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს.

4.12 ჯარიმები, საკომისიოები, სხვა შემოსავლები და ხარჯები

ყველა ჯარიმა, მოსაკრებელი და საკომისიო, ასევე სხვა შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით, რომელიც ფასდება ფაქტიურად უზრუნველყოფილი მომსახურების საფუძველზე, როგორც მისაწოდებელი სრული მომსახურების შემადგენელი ნაწილი.

4.13 უცხოური ვალუტის გადაფასება

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. 31 დეკემბრისათვის უცხოური ვალუტის ნაშთების ლარებში გადაყვანისათვის გამოყენებული ძირითადი განაკვეთი იყო:

	31-დეკ-21	31-დეკ-20
აშშ დოლარი/ლარი	3.0976	3.2766
ევრო/ლარი	3.5040	4.0233

4.14 ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები (გაცემული სესხები და მოთხოვნები) და ვალდებულებები ურთიერთგადაფარება და აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა თანხით მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის კანონიერი უფლება და არსებობს განზრახვა იმისა, რომ აღნიშნული თანხები ანაზღაურდეს წმინდა ღირებულებით ან მოხდეს აქტივების და ვალდებულებების ანაზღაურება ერთდროულად. შემოსავლების და ხარჯების ურთიერთგადაფარვა არ ხდება, თუ ის არ მოითხოვება და ნებადართული არ არის ფასს-ის მიხედვით და არ არის თანდართული კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

4.15 ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას აღიარებს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივის/ვალდებულების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივის/ვალდებულების გარიგების ფასი, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც კლასიფიცირდება "სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით", მოიცავს უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლებიც გაწეულ იქნა ფინანსური ინსტრუმენტის შესაძენად/გამოსაშვებად.

ფინანსური აქტივების/ვალდებულებების გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც კლასიფიცირდება "სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით", დაუყოვნებლივ გატარდება ხარჯებში.

კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, ანუ აქტივი აღიარდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ორივე შემდგომი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ორივე შემდგომი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივის გაყიდვა რეალური ღირებულებით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ყველა სხვა ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება და ფასდება "რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით", თუ საწარმო არ გააკეთებს შეუქცევად არჩევანს, რომ თავდაპირველი აღიარებისას წილობრივ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი ასახოს სხვა სრულ შემოსავალში (რომელიც არ არის გამიზნული გასაყიდად ან არ არის აღიარებული პირობით ასანაზღაურებელ თანხად ბიზნესგაერთიანების დროს).

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების რეზერვის ხარჯის განგარიშების მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს კომპანიის მიერ ფინანსური აქტივების რისკების შეფასება, კერძოდ, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

4.15 ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაიზარდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარებიდან, კომპანია ახდენს მომდევნო 12 თვის სავარაუდო საკრედიტო ზარალის რეზერვის გაანგარიშებას, რომელიც წარმოადგენს მომდევნო 12 თვის განმავლობაში არახელსაყრელი გარემოებების განვითარების შედეგად ფინანსური აქტივის შესაძლო გაუფასურების ზარალს. თუ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან ამკარაა მისი გაუფასურება, კომპანია ქმნის რეზერვს, რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ ზარალს. ამ შემთხვევაში ფინანსური აქტივის გაუფასურების რეზერვი არის ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემცირება, დისკონტირებული ევექტური საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივების ღირებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - აისახება სხვა სრულ შემოსავალში, ყველა სხვა შემთხვევაში - მოგება-ზარალში.

იმ გაცემული სესხებზე, რომლებიც არ უფასურდება ინდივიდუალურად, კომპანია გაუფასურების რეზერვს განსაზღვრავს კოლექტიურად, რომელიც დაფუძნებულია გადასახდლების მოკრების კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე, პორტიფელში დაგვიანებული გადახდების ზრდაზე, ეკონომიკურ მდგომარეობაში ცვლილებებზე და სხვა.

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის, თუ გაუფასურების ზარალი შემდგომ პერიოდში შემცირდება და ეს შემცირება გამყარებულია ობიექტური მტკიცებულებით, გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარი მოვლენებით, მაშინ ხდება წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის უკან დაბრუნება (პირდაპირ ან დებიტორული დავალიანების საეჭვო მოთხოვნების რეზერვის კორექტირებით) მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. თუმცა, უკან დაბრუნების შედეგად, საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებას, რომელიც დაფიქსირდებოდა თუ არ აღიარდებოდა გაუფასურება გაუფასურების უკან დაბრუნების დღეს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

გარიგებების სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაივლიან ფასს 9 -ით დადგენილ აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს "შინაარსის ფორმაზე აღმატებულების" პრინციპზე დაყრდნობით. კრიტერიუმები მოიცავს ორ სხვადასხვა სახის შეფასებას, რომელიც ხორციელდება მკაცრად მოცემული თანმიმდევრობით:

- მესაკუთრების რისკებისა და სარგებლის გადაცემის შეფასება;
- კონტროლის გადაცემის შეფასება.

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. კომპანია ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას ახდენს ორ კატეგორიად:

4 ძირითადი საარიცხო პოლიტიკა (გაგრძელება)

4.15 ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL). ვალდებულებები ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება, როდესაც მათი ფლობის მთავარი მიზანი უახლოეს მომავალში მათი გაყიდვა ან გამოსყიდვა (სავაჭრო ვალდებულებები) ან ისინი წარმოადგენენ წარმოებულ ინსტრუმენტებს (გარდა წარმოებული ინსტრუმენტებისა, რომლებიც განკუთვნილია ეფექტური ჰეჯირების ინსტრუმენტად) ან თავდაპირველი აღიარებისას აკმაყოფილებენ პირობებს ამ კატეგორიაში მოსახვედრად. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული სამართლიანი ღირებულების ნებისმიერი ცვლილება წარმოშობისთანავე აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სხვა ფინანსური ვალდებულებები. ყველა ვალდებულება, რომელიც არ გადანაწილდა წინა ჯგუფში, ხვდება აღნიშნულ კატეგორიაში. აღნიშნული ვალდებულებები აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულებულია, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდულ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

5 კრიტიკული საარიცხო შეფასებები

საარიცხო პოლიტიკის შედგენისას, კომპანიის მენეჯმენტს მოეთხოვება გააკეთოს დაშვებები და შეფასებები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, რომლებიც ცალსახად ზუსტად ვერ განისაზღვრება სხვა წყაროებიდან. შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა ისტორიულ გამოცდილებას და სხვა დაკავშირებულ ფაქტორებს. რეალური შედეგები ამ შეფასებებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს. დაშვებები და შეფასებები მუდმივად გადაიხედება. შეფასებების გადახედვა აისახება იმ პერიოდისათვის, როცა ის განხორციელდა, თუ გადახედვა ზემოქმედებს მიმდინარე და მომდევნო პერიოდებზე.

ქვემოთ მოცემულია მნიშვნელოვანი შეფასებები მომავალზე და სხვა ძირითადი წყაროები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის, რომლებიც შეიცავენ დიდ რისკს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირება მომდევნო საანგარიშგებო პერიოდისათვის.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა – ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას მსგავსი აქტივების შეფასებასთან მიმართებაში. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას მენეჯმენტი ითვალისწინებს სავარაუდო გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ გაუმართაობას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, სადაც ამ აქტივს უხდება მუშაობა. შეფასებებში ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს მომავალში ცვეთის ხარჯის კორექტირება.

არამატერიალური აქტივების მომსახურების ვადა - კომპანიის მიერ მომსახურების ვადის შეფასება, ეფუძნება მენეჯმენტის შეფასებებს მსგავს აქტივებთან მიმართებაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას მენეჯმენტი ითვალისწინებს სავარაუდო გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ გაუმართაობას, ამორტიზაციას. შეფასებებში ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს მომავალში ამორტიზაციის ხარჯის კორექტირება.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია უნივერს კრედიტი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

5 კრიტიკული საარციზო შეფასებები (გაგრძელება)

სესხებსა და მოთხოვნებთან დაკავშირებული ზარალი - აღიარება მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში და კორექტირდება იმ შემთხვევაში, თუ ანაზღაურებადი ღირებულების შემდგომი ზრდა შეიძლება ობიექტურად უკავშირდებოდეს აღნიშნული გაუფასურების ზარალის აღიარების შემდეგ მომხდარ მოვლენას. მაშინ, როდესაც, სესხის ამოღება შეუძლებელია, ხდება მისი ჩამოწერა სესხის გაუფასურების რეზერვის მიმართ. კომპანია ჩამოწერს სესხის დარჩენილ ნაწილს და სესხის გაუფასურების შესაბამის რეზერვს, როდესაც ხელმძღვანელობა დაადგენს, რომ შეუძლებელია სესხის ამოღება და როდესაც შესრულება სესხის ამოსღებად გამიზნული ყველა მოქმედება.

6 ფული და ფულის ეკვივალენტები	31-დეკ-21	31-დეკ-20
ფული ბანკში	148,481	142,254
სალარო	55,367	261,595
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	203,848	403,849

ფული და ფულის ეკვივალენტები ვალუტების მიხედვით	31-დეკ-21	31-დეკ-20
ქართული ლარი (GEL)	199,254	292,220
აშშ დოლარი (USD)	4,594	111,629
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	203,848	403,849

კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია საიმელო ბანკებში, სადაც რაიმე არსებითი საკრედიტო რისკი კომპანიის ფულად სახსრებთან დაკავშირებით არ წარმოიშობა. კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია იმ ბანკებში, რომლებიც Fitch-ის მიერ შეფასებულია BB - ის მქონე (გრძელვადიანი რეიტინგი).

7 გაცემული სესხები

კომპანია სესხებს გასცემს ინდივიდუალურ მეწარმეებზე და ფიზიკურ პირებზე საბრუნავი კაპიტალის დაფინანსების მიზნით. სესხები არის უზრუნველყოფილი თავდებობით ან უძრავი ქონებით.

	შენიშვნა	31-დეკ-21	31-დეკ-20
სამომხმარებლო სესხი		796,497	704,770
ბიზნეს სესხი		111,489	32,930
დარიცხული პროცენტი		9,902	18,460
მთლიანი გაცემული სესხები	7.1	917,888	756,160
<i>მინუს: გაუფასურების რეზერვი</i>	7.3	(84,640)	(103,656)
წმინდა გაცემული სესხები		833,248	652,504

7.1 მთლიანი სასესხო პორტფელი, ძირი და დარიცხული პროცენტი	31-დეკ-21	31-დეკ-20
სესხის ძირი	907,986	737,700
დარიცხული პროცენტი	9,902	18,460
მთლიანი სასესხო პორტფელი	917,888	756,160

7.2 გაცემული სესხის ძირის განაწილება სესხის ვადიანობის მიხედვით	31-დეკ-21	31-დეკ-20
1 წელზე ნაკლები	191,429	48,026
1-დან 3 წლამდე	2,159	255,501
3-დან 5 წლამდე	330,835	151,012
5 წელზე მეტი	383,563	283,162
სულ გაცემული სესხის ძირი	907,986	737,700

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია უნივერს კრედიტი
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

7 გაცემული სესხები (გაგრძელება)

7.3 სესხების გაუფასურების რეზერვი

კომპანია მისაღებ ძირზე და პროცენტზე ქმნის ანარიცხებს. 2021 და 2020 წელს კომპანია გაცემულ სესხებს არეზერვებს ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად. 30-დან 60 დღემდე ვადაგადაცილებაში მყოფი სესხი რეზერვდება 10%-ით, 60 დან 90 დღემდე - 30%-ით, 90-დან 180 დღემდე - 50%-ით, ხოლო 180 დღეზე მეტი ვადაგადაცილების შემთხვევაში რეზერვდება 100%-ით. რეზერვდება როგორც მისაღები ძირი, ასევე გადასახდელი პროცენტი.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ვადაგადაცილებული დღეები	რეზერვის პროცენტი	სესხის თანხა	რეზერვის თანხა
0-30	0%	770,652	21,302
31-60	10%	89,131	8,913
61-90	30%	4,034	1,210
91-180	50%	1,713	857
> 180	100%	52,358	52,358
სულ		917,888	84,640

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ვადაგადაცილებული დღეები	რეზერვის პროცენტი	სესხის თანხა	რეზერვის თანხა
0-30	0%	576,959	-
31-60	10%	82,760	8,276
61-90	30%	-	-
91-180	50%	2,121	1,060
> 180	100%	94,320	94,320
სულ		756,160	103,656

ცვლილება სესხის გაუფასურების რეზერვში

	2021	2020
ნაშთი 1 იანვრის მდგომარეობით	103,656	94,208
პლიუს: მიმდინარე პერიოდის საეჭვო სესხები	(99,220)	(125,275)
მინუს: აღდგენილი საეჭვო სესხები	80,204	134,723
ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	84,640	103,656

7.4 უზრუნველყოფის ანალიზი

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს სესხის ძირის ნაშთების ანალიზს (სესხების გაუფასურების რეზერვის გამოკლების გარეშე) მათი შესაბამისი უზრუნველყოფის სამართლიან ღირებულებებთან მიმართებაში (გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით: რეალურ ღირებულებას გამოკლებული გირაოს გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები). გაცემული სესხები უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით.

	31-დეკ-21		31-დეკ-20	
	სესხის მიმდინარე ღირებულება	უზრუნველყოფის FVLCS *	სესხის მიმდინარე ღირებულება	უზრუნველყოფის FVLCS *
სამომხმარებლო სესხი	796,497	3,446,058	704,770	3,571,330
ბიზნეს სესხი	111,489	240,000	32,930	60,000
სულ	907,986	3,686,058	737,700	3,631,330

* FVLCS - უზრუნველყოფის რეალურ ღირებულებას გამოკლებული გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია უნივერს კრედიტი
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

8 არამატერიალური აქტივები

ისტორიული ღირებულება	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	54,593	54,593
დამატებები	3,097	3,097
გასვლები	(7,278)	(7,278)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	50,412	50,412
დამატებები	1,872	1,872
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	52,284	52,284
აკუმულირებული ცვეთა		
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	(37,048)	(37,048)
პერიოდის ამორტიზაცია	(6,014)	(6,014)
გასული არამატერიალური აქტივები	7,278	7,278
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	(35,784)	(35,784)
პერიოდის ამორტიზაცია	(6,871)	(6,871)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	(42,655)	(42,655)
საბალანსო ღირებულება		
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	17,545	17,545
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	14,628	14,628
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	9,629	9,629

9 საწესდებო კაპიტალი

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწესდებო კაპიტალი შეადგენს 1,020,738 ლარს. 2020 წლის განმავლობაში კომპანიას საწესდებო კაპიტალში გააკეთა შენატანი 20,000 ლარი, შესაბამისად საწესდებო კაპიტალი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1,020,738 ლარს. კომპანია აკმაყოფილებს ეროვნული ბანკის მოთხოვნებს.

2021 და 2020 წლის განმავლობაში კომპანიას დივიდენდი არ გაუცია.

10 საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი წარმოადგენს კომპანიის მიერ გაცემული სესხებიდან მიღებულ საპროცენტო სარგებელს, რომელმაც 2021 წლის განმავლობაში შეადგინა 167,302 ლარი (2020 წელი: 160,776 ლარი).

საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	2021	2020
თანამშრომელთა ხელფასის ხარჯები	154,750	164,098
აუდიტორული მომსახურების ხარჯები	14,123	6,313
საკონსულტაციო და საექსპერტო მომსახურების ხარჯები	9,591	11,631
ცვეთა და ამორტიზაცია	8,072	7,952
დანარჩენი საექსპლუატაციო ხარჯები	5,092	5,123
გადახდილი ჯარიმა	3,000	-
შენიშვნისა და ფასეულობის დაცვის ხარჯები	1,620	1,755
რეკლამის ხარჯები	1,620	420
საფოსტო-სატელეგრაფო ხარჯები	884	846
სხვა საერთო ხარჯი	38	1,003
სულ საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	198,790	199,141

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია უნივერს კრედიტი
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

12 მოგება / (ზარალი) საკურსო სხვაობიდან / შემოსავლები სავალუტო სახსრების გადაფასებიდან

12.1 შემოსავლები სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	2021	2020
შემოსავლები სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	135,759	419,362
შემოსავალი უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული ოპერაციების მიხედვით	157	52
სულ შემოსავლები სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	135,916	419,414

12.2 მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან	2021	2020
ზარალი უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული ოპერაციების მიხედვით	(3,282)	(152)
ზარალი სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	(164,355)	(364,424)
სულ მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან	(167,637)	(364,576)

13 ცვლილება სესხის გაუფასურების რეზერვში

სესხებთან დაკავშირებული საეჭვო და უიმედო ხარჯის კალკულაციის კომპანია ახორციელებს ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად. 2021 წლის მდგომარეობით შემოსავალი შეადგენდა 19,016 ლარს. ხოლო, 2020 წლის მდგომარეობით, კომპანიის საეჭვო და უიმედო ანარიცხების ხარჯმა შეადგენა 9,448 ლარი (იხილეთ 7.3 შენიშვნა).

14 მოგების გადასახადის ხარჯი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

2021 წლის მდგომარეობით მოგების გადასახადის ხარჯი არის 0 ლარი. ხოლო, 2020 მდგომარეობით 5,638 ლარი.

15 ფინანსური რისკების მართვა

15.1 სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის სავალუტო კურსის მერყეობის რისკი, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე და მომგებიანობაზე. სავალუტო რისკი წარმოიშობა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივებისა და ვალდებულებებისგან.

ქვემოთ მოცემულია კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ცხრილი ვალუტების მიხედვით (შესაბამისი ეკვივალენტებით ლარში).

2021 წლის 31 დეკემბრისათვის	ლარი	დოლარი	სულ
		1 დოლარი =	
		3.0976	
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	199,254	4,594	203,848
გაცემული სესხები (წმინდა)	679,785	153,463	833,248
სულ	879,039	158,057	1,037,096
ფინანსური ვალდებულებები			
სხვა ვალდებულებები	4,823	-	4,823
სულ	4,823	-	4,823
წმინდა სავალუტო პოზიცია	874,216	158,057	

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია უნივერს კრედიტი
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

15 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

15.1 სავალუტო რისკი (გაგრძელება)

2020 წლის 31 დეკემბრისათვის	ლარი	დოლარი 1 დოლარი =	სულ
ფინანსური აქტივები		3.2766	
ფული და ფულის ეკვივალენტები	292,220	111,629	403,849
გაცემული სესხები (წმინდა)	652,504	-	652,504
სულ	944,724	111,629	1,056,353
ფინანსური ვალდებულებები			
სხვა ვალდებულებები	3,363	-	3,363
სულ	3,363	-	3,363
წმინდა სავალუტო პოზიცია	941,361	111,629	

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ლარის მიმართ უცხოური ვალუტის კურსში ცვლილებების ზეგავლენის ანალიზი კომპანიის სრული შემოსავლების ანგარიშგებაზე სხვა ცვლადების უცვლელობის დროს. უარყოფითი თანხები წარმოადგენს წმინდა შემცირებას სრული შემოსავლების ანგარიშგებაში ან კაპიტალში, დადებითი თანხები კი ასახავს წმინდა შესაძლო ზრდას. საბაზისო ვალუტა არის ლარი. ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში.

		2021	2020
ვალუტა	ცვლილება კურსში	გავლენა მოგებაზე	გავლენა მოგებაზე
აშშ დოლარი	-10%	(15,806)	(11,163)
	-5%	(7,903)	(5,581)
	5%	7,903	5,581
	10%	15,806	11,163

15.2 ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს არსებული ვალდებულებების დროულად დაფარვას. ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის შეუსაბამობისას. მენეჯმენტი ასეთი ტიპის რისკების მართვას ახდენს ვადიანობის ანალიზით, განსაზღვრავს რა კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისათვის. იმისათვის, რომ მართოს ლიკვიდურობის რისკი, კომპანია ახდენს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მუდმივ მონიტორინგს, რაც აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილია. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს კომპანიის არსებულ აქტივებსა და ვალდებულებებს დარჩენილი საკონტრაქტო ვადების მიხედვით. ქვემოთ წარმოდგენილი მონაცემები ეფუძნება იმ მონაცემებს, რასაც მენეჯმენტი შიდა მმართველობითი მიზნებისათვის იყენებს.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია უნივერს კრედიტი
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

15 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

15.2 ლიკვიდურობის რისკი (გაგრძელება)

2021 წლის 31 დეკემბერი	< 1 წელზე	1-5 წლამდე	> 5 წელზე	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	203,848	-	-	203,848
გაცემული სესხები	116,691	332,994	383,563	833,248
სულ აქტივები	320,539	332,994	383,563	1,037,096
ფინანსური ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები	4,823	-	-	4,823
სულ ვალდებულებები	4,823	-	-	4,823
ლიკვიდურობის სხვაობა	315,716	332,994	383,563	1,032,273
წმინდა ლიკვიდურობის სხვაობა	315,716	648,710	1,032,273	
2020 წლის 31 დეკემბერი	< 1 წელზე	1-5 წლამდე	> 5 წელზე	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	403,849	-	-	403,849
გაცემული სესხები	42,480	359,565	250,459	652,504
სულ აქტივები	446,329	359,565	250,459	1,056,353
ფინანსური ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები	3,363	-	-	3,363
სულ ვალდებულებები	3,363	-	-	3,363
ლიკვიდურობის სხვაობა	442,966	359,565	250,459	1,052,990
წმინდა ლიკვიდურობის სხვაობა	442,966	802,531	1,052,990	

15.3 საპროცენტო რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საპროცენტო განაკვეთებში ცვლილებებიდან, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფულად ნაკადებზე ან ფინანსური აქტივების რეალურ ღირებულებებზე. კომპანიის საოპერაციო შემოსავალი და ფულადი ნაკადები არ არის დამოკიდებული საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებზე, ვინაიდან მიუხედავად იმისა, რომ 2021 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი ოდენობის საპროცენტო განაკვეთის მატარებელი აქტივები, ყველა ამ ინსტრუმენტს აქვს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთები, რომელიც არ არის დამოკიდებული ბაზარზე არსებულ საპროცენტო განაკვეთების მერყეობაზე.

15.4 საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, როდესაც ერთი მხარის მიერ ფინანსური ინსტრუმენტის ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს მეორე მხარის მიერ ფინანსური დანაკარგების მიღებას. საკრედიტო რისკი წარმოიშობა ფული და ფულის ეკვივალენტებიდან და სესხებიდან. მაქსიმალური საკრედიტო რისკი კომპანიისთვის საანგარიშგებო თარიღისათვის იყო:

15 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

15.4 საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

	31-დეკ-21	31-დეკ-20
ფული ბანკში	148,481	142,254
გაცემული სესხები	833,248	652,504
სულ	981,729	794,758

კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია სანდო ფინანსურ ინსტიტუტებში და მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ არანაირი საკრედიტო რისკი მათ ფულად სახსრებს არ ემუქრება.

გაცემული სესხები არის ერთადერთი მუხლი, რომელიც წარმოშობს საკრედიტო რისკს კომპანიისთვის. კომპანია ამ რისკს მართავს სესხის გაცემის სანაცვლოდ უზრუნველყოფის მოთხოვნით და სესხი/უზრუნველყოფის კოეფიციენტის საკმარისად მაღალ დონეზე შენარჩუნებით, რათა მოხდეს ყველა შესაძლო დანაკარგების რისკის გადაფარვა.

16 ფინანსური აქტივები და ვალდებულებები: რეალური ღირებულებები და სააღრიცხვო კლასიფიკაციები

16.1 რეალური ღირებულებები და სააღრიცხვო კლასიფიკაციები

რეალური ღირებულების გამოთვლის მიზანია განისაზღვროს ის ღირებულება, რაც შეფასების თარიღისათვის შეიძლება მიღებული იქნას აქტივის გაყიდვიდან ან გადახდილი იქნას ვალდებულების დასაფარად ჩვეულებრივი ტრანზაქციის პირობებში ბაზრის მონაწილეთა შორის. მიუხედავად ამ მცდელობისა, რომ რეალურმა ღირებულებამ ასახოს ასეთი თანხა (რაც წინა წინადადებაშია ახსნილი), საოპერაციო გარემოსათვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი განუსაზღვრელობების და შეფასებებში შესაძლო სუბიექტური ფაქტორების არსებობის გამო, არ უნდა ვიგულისხმოდ, რომ რეალური ღირებულება ზუსტად ასახავს იმ თანხას, რაც შეიძლება აქტივის დაუყოვნებელი გაყიდვის შემთხვევაში იქნას მიღებული ან ვალდებულების დაუყოვნებელი დაფარვისთვის შეიძლება იყოს საჭირო.

ყველა ფინანსური ინსტრუმენტის შეფასებული რეალური ღირებულება დაახლოებით მათი საბალანსო ღირებულების ტოლია. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულება გამოითვლება ფულადი ნაკადების დისკონტირების მეთოდით, რომელიც ეფუძნება მომავალ ფულად ნაკადებს და მსგავსი ინსტრუმენტების დისკონტირების კოეფიციენტს საანგარიშო თარიღისათვის. კომპანია იყენებს შეფასების ფართოდ აღიარებულ მოდელებს ჩვეულებრივი და უფრო მარტივი ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების განსაზღვრად, რომლებიც იყენებენ მხოლოდ თვალსაჩინო საბაზრო მონაცემებს და ხელმძღვანელობის მხრიდან მცირედი დაშვებებისა და შეფასებების გამოყენება სჭირდებათ.

კომპანია იყენებს შემდეგ დაშვებებს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისას:

18-45%-იანი დისკონტირების განაკვეთი გამოიყენება კლიენტებზე გაცემული სესხებიდან მისაღები მომავალი ფულადი სახსრების დისკონტირებისთვის.

16.2 რეალური ღირებულების იერარქია

ჯგუფი იყენებს შემდეგ იერარქიას სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისათვის:

დონე 1 ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტების კოტირებული (არაკოტირებული) ფასები მოქმედ ბაზარზე.

16 ფინანსური აქტივები და ვალდებულებები: რეალური ღირებულებები და სააღრიცხვო კლასიფიკაციები

16.2 რეალური ღირებულების იერარქია (გაგრძელება)

დონე 2 შემაჯავლი მონაცემები გარდა იმისა, რაც პირველ დონეშია ჩაწერილი და რომლებიც ხელმისაწვდომია როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც შეფასებულია შემდეგი მონაცემების გამოყენებით: აქტიურ ბაზრებზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რაც განიხილება, როგორც ნაკლებად აქტიური; ან შეფასების სხვა მეთოდები, რომლის ფარგლებში ყველა მნიშვნელოვანი შემაჯავლი მონაცემები ხელმისაწვდომია პირდაპირ ან ირიბად საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე.

დონე 3 არათვალსაჩინო რესურსები. აღნიშნული კატეგორია შედგება ყველა ინსტრუმენტისგან, რომლის ფარგლებში შეფასების მეთოდიკა მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეფუძნება თვალსაჩინო მონაცემებს და ხელმისაწვდომი შემაჯავლი მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებები საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის.

17 კაპიტალის მართვა

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ეროვნული ბანკის მიერ მოთხოვნილი მინიმალური საზედამხებელო კაპიტალის მოთხოვნის ადეკვატურობის ანალიზი, საიდანაც დგინდება კაპიტალის ადეკვატურობა მოთხოვნასთან მიმართებით.

	31-დეკ-21	31-დეკ-20
საწესდებო კაპიტალი	1,020,738	1,020,738
სულ კაპიტალი	1,020,738	1,020,738

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მინიმალური ლიმიტი საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად შეადგენდა 1,000,000 ლარს.

18 დაკავშირებული მხარეები

ზოგადად, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას. დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციების და ნაშთების დეტალები საანგარიშგებო პერიოდისათვის მოცემულია ქვემოთ:

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან 2021 წელი	ხელფასის ხარჯი
დამფუძნებლები	36,600
უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრები	112,000
სულ	148,600

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან 2020 წელი	ხელფასის ხარჯი
დამფუძნებლები	77,500
უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრები	77,500
სულ	155,000

19 პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში, კომპანია წარმოადგენს სასამართლო პროცესის მხარეს. ანგარიშგების თარიღისათვის, ხელმძღვანელობისათვის არ არის ცნობილი კომპანიის წინააღმდეგ აღძრული, შეჩერებული ან სასამართლოში დავის გადატანის რისკის მქონე დავების შესახებ, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვნად იმოქმედოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

20 საწარმოს უწყვეტობის განხილვა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ კომპანიის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

21 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთმა დაიწყო ომი უკრაინასთან, რამაც გამოიწვია 2014 წელს დაწყებული რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის ესკალაცია. ომი ჯერ კიდევ გრძელდება ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის. შეჭრა საერთაშორისო მასშტაბით დაგმეს. ბევრმა ქვეყანამ დააწესა ახალი სანქციები, რამაც გამოიწვია მძიმე ეკონომიკური შედეგები რუსეთისთვის და მსოფლიო ეკონომიკისთვის. ჯგუფი არ აფასებს ზემოაღნიშნული რუსეთ-უკრაინის კონფლიქტიდან წარმოშობილ რისკებს, როგორც მნიშვნელოვანს, ვინაიდან ჯგუფს ან მის მფლობელებს და ჯგუფის ძირითად კლიენტებს არანაირი კავშირი არ აქვთ არც რუსეთთან და არც უკრაინასთან.

ბალანსის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია სხვა ისეთ მოვლენებს, რომლებიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებს და ცვლილებებს მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში.



კომპანიის შექმნის ისტორია

ჩვენი კომპანია, შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „უნივერს კრედიტი“, დაფუძნდა 2012 წლის 12 მარტს ქ. თბილისში, ს/ნ 401968340 და წარმოდგენილია ერთი ფილიალით.

საქმიანობის მიმოხილვა

ორგანიზაციის მთავარ მიზანს დაარსებიდან დღემდე წარმოადგენს ფიზიკური პირებისა და მცირე მეწარმეების იმ სეგმენტის დაკრედიტება, რომლებიც დამატებით ფინანსურ რესურს საჭიროებს თავიანთი ბიზნესის განვითარებისთვის ან სხვა სამომხარებლო მიზნებისათვის.


ორგანიზაციის საკრედიტო პოლიტიკით განისაზღვრა მინიმალური საპროცენტო და საჯარიმო განაკვეთები, რაც არსებობდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ბაზარზე.

თავიდანვე ჩვენ დიდ ყურადღებას ვაქცევდით კომპანიის მობილურობას, რაც გულისხმობდა სესხის გაცემას მინიმალურ ვადებში. ორგანიზაციის მენეჯმენტმა დამატებითი ფინანსური სახსრები იურიდიული და ფიზიკური პირებისგან მოიზიდა. თუმცა დღეის მდგომარეობით ვალდებულებები კრედიტორების მიმართ აღარ გვაქვს.

ჩვენ ფინანსურ აღრიცხვას ვაწარმოებთ ალტა სოფთვეარიდან შექმნილი პროგრამული უზრუნველყოფით, რომელსაც აქვს ბუღალტრული და სასესხო მოდული. მოდულებს პერიოდულად ვანახლებთ ბოლო ვერსიამდე.

შეთავაზებული მომსახურების კლასიფიკაცია და მათი დახასიათება

მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციის მიერ კლიენტებისთვის შეთავაზებული იყო მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის განსაზღვრული მომსახურების სრული სპექტრი, საბოლოო ჯამში განისაზღვრა ორი ძირითადი მიმართულება:




* თანხები მოცემულია ლარში

2021 წლის განმავლობაში გავეცით 723 442 ლარის სესხი.

ჩვენ მიერ გაცემული სესხები იყოფა მოკლევადიან და გრძელვადიან სესხებად.

იხ.დიაგრამა 2020 და 2021 წლების განმავლობაში გაცემული სესხები მოცულობა.




გაცემული სესხები 2021 წელს გაზრდილია 2020 წელთან შედარებით, რაც განპირობებულია იმით, რომ კანონში განხორციელებული ცვლილებებმა, საშუალება მოგვცა გარკვეული სეგმენტი დაგვეფინანსებინა.


ჩვენი სასესხო პორტფელი მიუხედავად ბაზარზე არსებული მდგომარეობისა საკმაოდ კარგია და მოიცავს ძალიან მცირე უიმედო და საეჭვო სესხებს. მთლიანი პორტფელის მხოლოდ 9% შეგვიძლია ჩავთვალოთ უიმედოდ.

დღეის მდგომარეობით ნასესხები სახსრები საერთოდ აღარ გვაქვს.


აქტივების, ვალდებულებების და კაპიტალის ცვლილება წლების მიხედვით იხილეთ ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე.



სესხების გაცემის ზრდამ გამოიწვია საპროცენტო შემოსავლის გაზრდა.



ჩვენი კომპანია არის ზარალზე, რაც გამოწვეულია ძირითადად კურსის შემცირებით.



თანამშრომლები, რაოდენობა, კვალიფიკაცია

ორგანიზაციაში დასაქმებული პირების საშუალო რაოდენობა შეადგენს 4 თანამშრომელს. თანამშრომელთა ძირითადი ნაწილი კვალიფიციური სპეციალისტია, თუმცა ორგანიზაცია ცდილობს დაასაქმოს დამამთავრებელი კურსის სტუდენტები. ასევე პერიოდულად სტაჟირებაზე აყავს დაინტერესებული ახალგაზრდები, რომლებიც სამუშაო გამოცდილებსათან ერთად ანაზღაურებასაც იღებენ.

ბაზრის მიმოხილვა

ფინანსური ბაზარი დინამიურად ვითარდება და ორგანიზაცია ცდილობს მუდმივად შეისწავლოს ბაზრის კონიუნქტურა. მიმდინარე ეტაპზე საკმაოდ მრავლად არის წარმოდგენილი მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რომლებიც მსგავს სეგმენტზე ოპერირებენ, ასევე ბანკებსაც აქვთ მსგავსი მომსახურება

იპოთეკური ლომბარდის სახით, რაც ქმნის მკაცრ კონკურენტულ გარემოს. კონკურენტული საპროცენტო განაკვეთები ორგანიზაციას აძლევს უპირატესობას საფინანსო ბაზარზე.

რეგულაციების გავლენა საქმიანობაზე

უკანასკნელ პერიოდში ამოქმედებულმა რეგულაციებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ორგანიზაციის საქმიანობაზე. ორგანიზაციას მოზიდული სახსარი უცხოურ ვალუტაში ქონდა. გალარების პოლიტიკის შემგომ იძულებული გახდა ორგანიზაცია დაეზღვია რისკები და განახორციელა ბანკთან სვოპ ოპერაციები ან ეგრეთ წოდებული ქეშ ქოვერები. ამან გამოიწვია რესურსზე ხარჯის ზრდა, რაც აისახა სასესხო საპროცენტო განაკვეთის ჩამოყალიბებაში. რაც შეეხება სხვა შეზღუდვებს, ორგანიზაციამ მიმართა ალტა სოფთვეარს და პროგრამულად მოახდინა ყველა იმ შეზღუდვის პროგრამაში ასახვა რასაც კანონმდებლობა ითვალისწინებს. რისკების დაზღვევის მიზნით ორგანიზაციამ სრულად მოახდინა მოზიდული სახსრების უკან დაბრუნება. ასევე ორგანიზაცია მუშაობს შეცვალოს საკრედიტო პოლიტიკა ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად, რათა სრულად პასუხობდეს პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პირინციპებს.

რას ვგეგმავთ მომავალში

ორგანიზაცია თვალყურს ადევნებს ყველა კანონპროექტის შემუშავებას, რაც მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ეხებათ. ორგანიზაციამ ჩაატარა AML(ფულის გათეთრების) კუთხით მიმდინარე საქმიანობის სრული აუდიტი 2019 წელს და შეიმუშავა და დაამტკიცა AML კუთხით ახალი პოლიტიკა. ასევე 2019 წლის შემდეგ გაცემულ სესხებზე გეგმავს AML კუთხით აუდიტის ჩატარებას და დებულება-პროცედურების განახლებას 2020 წლის ოქტომბერში მიღებული კანონის შესაბამისად. 2021 წელს მოხდა AML კუთხით შემოწმება, რომლის შედეგად გაწეული რეკომენდაციები გათვალისწინებულ იქნა ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის /პროცედურებში. ორგანიზაცია ეროვნული ბანკის მოთხოვნის შესაბამისად ჩართულია კრედიტინფოში. მომავალში ორგანიზაცია კვლავ გეგმავს სალომბარდო პორთფელის შექმნას, ამჟამად მოლაპარაკებების პროცესშია.

რუსეთ უკრაინის ომის გავლენა საქმიანობაზე

რუსეთსა და უკრაინას შორის მიმდინარე კონფლიქტს არ აქვს მნიშვნელოვანი ნეგატიური ზეგავლენა ორგანიზაციაზე და, შესაბამისად, ორგანიზაციის უნარზე განაგრძოს ოპერირება უახლოეს მომავალში.

რისკები

ჩვენს ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკი შეიძლება იყოს საკრედიტო რისკი, საოპერაციო რისკი, საბაზრო რისკი.

კომპანია მაქსიმალურად ცდილობს საკრედიტო და საოპერაციო რისკების

მინიმიზაციას სწორად განხორციელებული საქმიანობით. მაგალითად, საკრედიტო რისკებს ვამცირებთ მომხმარებლების საქმიანობისა და საკრედიტო ისტორიის საფუძვლიანად შესწავლით.

დირექტორი:
ამბროს აზარაშვილი

უნივერს კრედიტი

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია

კომპანიის შექმნის ისტორია

ჩვენი კომპანია, შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „უნივერს კრედიტი“, დაფუძნდა 2012 წლის 12 მარტს ქ. თბილისში, ს/ნ 401968340 და წარმოდგენილია ერთი ფილიალით.

საქმიანობის მიმოხილვა

ორგანიზაციის მთავარ მიზანს დაარსებიდან დღემდე წარმოადგენს ფიზიკური პირებისა და მცირე მეწარმეების იმ სეგმენტის დაკრედიტება, რომლებიც დამატებით ფინანსურ რესურს საჭიროებს თავიანთი ბიზნესის განვითარებისთვის ან სხვა სამომხარებლო მიზნებისათვის.

ორგანიზაციის საკრედიტო პოლიტიკით განისაზღვრა მინიმალური საპროცენტო და საჯარიმო განაკვეთები, რაც არსებობდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ბაზარზე.


თავიდანვე ჩვენ დიდ ყურადღებას ვაქცევდით კომპანიის მობილურობას, რაც გულისხმობდა სესხის გაცემას მინიმალურ ვადებში. ორგანიზაციის მენეჯმენტმა დამატებითი ფინანსური სახსრები იურიდიული და ფიზიკური პირებისგან მოიზიდა. თუმცა დღეის მდგომარეობით ვალდებულებები კრედიტორების მიმართ აღარ გვაქვს.

ჩვენ ფინანსურ აღრიცხვას ვაწარმოებთ ალტა სოფთვეარიდან შექმნილი პროგრამული უზრუნველყოფით, რომელსაც აქვს ბუღალტრული და სასესხო მოდული. მოდულებს პერიოდულად ვანახლებთ ბოლო ვერსიამდე.

შეთავაზებული მომსახურების კლასიფიკაცია და მათი დახასიათება

მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციის მიერ კლიენტებისთვის შეთავაზებული იყო მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის განსაზღვრული მომსახურების სრული სპექტრი, საბოლოო ჯამში განისაზღვრა ორი ძირითადი მიმართულება:

2021 წლის განმავლობაში გაცემული სესხები




* თანხები მოცემულია ლარში

2021 წლის განმავლობაში გავეციით 723 442 ლარის სესხი.

ჩვენ მიერ გაცემული სესხები იყოფა მოკლევადიან და გრძელვადიან სესხებად.

იხ. დიაგრამა 2020 და 2021 წლების განმავლობაში გაცემული სესხები მოცულობა.

2020 და 2021 წლების განმავლობაში გაცემული სესხები




გაცემული სესხები 2021 წელს გაზრდილია 2020 წელთან შედარებით, რაც განპირობებულია იმით, რომ კანონში განხორციელებული ცვლილებებმა, საშუალება მოგვცა გარკვეული სეგმენტი დაგვეფინანსებინა.

ჩვენი სასესხო პორტფელი მიუხედავად ბაზარზე არსებული მდგომარეობისა საკმაოდ კარგია და მოიცავს ძალიან მცირე უიმედო და საეჭვო სესხებს. მთლიანი პორტფელის მხოლოდ 9% შეგვიძლია ჩავთვალოთ უიმედოდ.

დღეის მდგომარეობით ნასესხები სახსრები საერთოდ აღარ გვაქვს.


აქტივების, ვალდებულებების და კაპიტალის ცვლილება წლების მიხედვით იხილეთ ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე.

საკუთარი კაპიტალი



სესხების გაცემის ზრდამ გამოიწვია საპროცენტო შემოსავლის გაზრდა.

საპროცენტო შემოსავლები



ჩვენი კომპანია არის ზარალზე, რაც გამოწვეულია ძირითადად კურსის შემცირებით.

მოგება/(ზარალი)



თანამშრომლები, რაოდენობა, კვალიფიკაცია

ორგანიზაციაში დასაქმებული პირების საშუალო რაოდენობა შეადგენს 4 თანამშრომელს. თანამშრომელთა ძირითადი ნაწილი კვალიფიციური სპეციალისტია, თუმცა ორგანიზაცია ცდილობს დაასაქმოს დამამთავრებელი კურსის სტუდენტები. ასევე პერიოდულად სტაჟირებაზე აყავს დაინტერესებული ახალგაზრდები, რომლებიც სამუშაო გამოცდილებსათან ერთად ანაზღაურებასაც იღებენ.

ბაზრის მიმოხილვა

ფინანსური ბაზარი დინამიურად ვითარდება და ორგანიზაცია ცდილობს მუდმივად შეისწავლოს ბაზრის კონიუნქტურა. მიმდინარე ეტაპზე საკმაოდ მრავლად არის წარმოდგენილი მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რომლებიც მსგავს სეგმენტზე ოპერირებენ, ასევე ბანკებსაც აქვთ მსგავსი მომსახურება

იპოთეკური ლომბარდის სახით, რაც ქმნის მკაცრ კონკურენტულ გარემოს. კონკურენტული საპროცენტო განაკვეთები ორგანიზაციას აძლევს უპირატესობას საფინანსო ბაზარზე.

რეგულაციების გავლენა საქმიანობაზე

უკანასკნელ პერიოდში ამოქმედებულმა რეგულაციებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ორგანიზაციის საქმიანობაზე. ორგანიზაციას მოზიდული სახსარი უცხოურ ვალუტაში ქონდა. გალარების პოლიტიკის შემგომ იძულებული გახდა ორგანიზაცია დაეზღვია რისკები და განახორციელა ბანკთან სვობ ოპერაციები ან ეგრეთ წოდებული ქეშ ქოვერები. ამან გამოიწვია რესურსზე ხარჯის ზრდა, რაც აისახა სასესხო საპროცენტო განაკვეთის ჩამოყალიბებაში. რაც შეეხება სხვა შეზღუდვებს, ორგანიზაციამ მიმართა ალტა სოფთვეარს და პროგრამულად მოახდინა ყველა იმ შეზღუდვის პროგრამაში ასახვა რასაც კანონმდებლობა ითვალისწინებს. რისკების დაზღვევის მიზნით ორგანიზაციამ სრულად მოახდინა მოზიდული სახსრების უკან დაბრუნება. ასევე ორგანიზაცია მუშაობს შეცვალოს საკრედიტო პოლიტიკა ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად, რათა სრულად პასუხობდეს პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პირინციპებს.

რას ვგეგმავთ მომავალში

ორგანიზაცია თვალყურს ადევნებს ყველა კანონპროექტის შემუშავებას, რაც მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ეხებათ. ორგანიზაციამ ჩაატარა AML(ფულის გათეთრების) კუთხით მიმდინარე საქმიანობის სრული აუდიტი 2019 წელს და შეიმუშავა და დაამტკიცა AML კუთხით ახალი პოლიტიკა. ასევე 2019 წლის შემდეგ გაცემულ სესხებზე გეგმავს AML კუთხით აუდიტის ჩატარებას და დებულება-პროცედურების განახლებას 2020 წლის ოქტომბერში მიღებული კანონის შესაბამისად. 2021 წელს მოხდა AML კუთხით შემოწმება, რომლის შედეგად გაწეული რეკომენდაციები გათვალისწინებულ იქნა ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის /პროცედურებში. ორგანიზაცია ეროვნული ბანკის მოთხოვნის შესაბამისად ჩართულია კრედიტინფოში. მომავალში ორგანიზაცია კვლავ გეგმავს სალომბარდო პორთფელის შექმნას, ამჟამად მოლაპარაკებების პროცესშია.

რუსეთ უკრაინის ომის გავლენა საქმიანობაზე

რუსეთსა და უკრაინას შორის მიმდინარე კონფლიქტს არ აქვს მნიშვნელოვანი ნეგატიური ზეგავლენა ორგანიზაციაზე და, შესაბამისად, ორგანიზაციის უნარზე განაგრძოს ოპერირება უახლოეს მომავალში.

რისკები

ჩვენს ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკი შეიძლება იყოს საკრედიტო რისკი, საოპერაციო რისკი, საბაზრო რისკი.

კომპანია მაქსიმალურად ცდილობს საკრედიტო და საოპერაციო რისკების

მინიმიზაციას სწორად განხორციელებული საქმიანობით. მაგალითად, საკრედიტო რისკებს ვამცირებთ მომხმარებლების საქმიანობისა და საკრედიტო ისტორიის საფუძვლიანად შესწავლით.

დირექტორი:
ამბროს აზარაშვილი
14.06.2022

